

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

<p>პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)</p>	<p>სკანდინავიური ფილოლოგია / Scandinavian Philology</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)</p>	<p>სკანდინავიური ფილოლოგიის ბაკალავრი/ Bachelor of Scandinavian Philology</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება</p>	<p>ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> • 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო ე.წ. საბაზო ჰუმანიტარული კომპეტენციების სასწავლო კურსებს; • 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისთვის (საბაკალავრო პროგრამისთვის); • 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ის სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს. <p>შენიშვნა: დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).</p> <p>დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა გამოიყენოს უცხოური ენის და ლიტერატურის შესასწავლად ან უცხოური ენის ცოდნის გასაღრმავებლად.</p> <ul style="list-style-type: none"> • 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, როგორც სასპეციალიზაციო პროგრამიდან, ისე მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხოური ენა).



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>სპეციალობის 120 კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტს, ანუ საბაკალავრო ნაშრომს, შორის შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> • 20 ECTS კრედიტი განკუთვნილია ე.წ. ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსებისთვის; • 90 ECTS კრედიტი გათვალისწინებულია სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, საიდანაც 10 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს). • 10 ECTS კრედიტი – სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის; <p>სკანდინავიური ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.</p>
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	კახაბერ ლორია- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, ამავე ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	წინამდებარე პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია,</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შეასწავლოს სტუდენტს ნორვეგიული როგორც პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ენა (საშუალოზე მაღალ დონეზე, B2+) და შვედური როგორც პროგრამით გათვალისწინებული მეორე ენა (საშუალო დონეზე, B1). 2. მისცეს სტუდენტს სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის (ნორვეგიული და შვედური ლიტერატურის განვითარების მაგალითზე), აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი პრინციპებისა და ბაზისური თეორიების ცოდნა, 3. მისცეს სტუდენტს ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, 4. მისცეს სტუდენტს ცოდნა ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპებისა და ბაზისური თეორიების, ინდოევროპულ ენათა ოჯახში გერმანიკული ენების ადგილის, სკანდინავიური და სხვა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>გერმანიკული ენების წარმოშობისა და განვითარების შესახებ; შეასწავლოს მას სკანდინავიური ლინგვისტიკის დარგობრივი ტერმინოლოგია, გააცნოს სკანდინავიური ლინგვისტიკის ზოგადი ასპექტები და საკვანძო პრობლემები, შეასწავლოს სკანდინავიური ლინგვისტიკის ცალკეული საკითხები ხსენებულ ენათა შედარებით პერსპექტივაში.</p> <p>5. გამოუმუშაოს სტუდენტს პროგრამის განმავლობაში შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები;</p> <p>6. ფილოლოგიის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე მოამზადოს კადრი სკანდინავიურ ფილოლოგიაში, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას.</p> <p>პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ფილოლოგიაში, კერძოდ კი, სკანდინავიურ ფილოლოგიაში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ფილოლოგიური და სკანდინავისტური სასწავლო თუ კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე იზრდება ინტერესი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი და მრავალმხრივი პოტენციალი. სასწავლო პროგრამები სკანდინავიური ფილოლოგიის (ისევე როგორც, საზოგადოდ, სკანდინავისტიკის) სფეროში არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა, ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი შეიძენს შესაბამის ფილოლოგიურ და ზოგადჰუმანიტარულ კომპეტენციათა ერთობლიობას. მას გამოუმუშავდება თეორიული თუ პრაქტიკული ფილოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევები. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის</p>
--	--



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ. სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ფილოლოგიის, არამედ სხვა ჰუმანიტარულ და, აგრეთვე, მიმართულებათშორისი დარგების პროფილით სწავლის გაგრძელების კარგი პერსპექტივა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.</p>
სწავლის შედეგები	<p>სკანდინავიური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:</p> <p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს სკანდინავიური ფილოლოგიის საკვანძო საკითხებს; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს. 2. განსაზღვრავს, მიმოიხილავს და აანალიზებს სკანდინავიური (ნორვეგიული და შვედური) ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, ცალკეულ მწერლებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას, ნაწარმოებების იდეურ და ესთეტიკურ მახასიათებლებს, სკანდინავიური ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში, მსგავსება-განსხვავებებს ნორვეგიულ და შვედურ ენობრივ კულტურებსა და ლიტერატურის ისტორიებს შორის. 3. აღწერს და მიმოიხილავს სკანდინავიური ლინგვისტიკის ზოგად ასპექტებსა და საკვანძო პრობლემებს; ავლენს სასპეციალიზაციო ენების (ნორვეგიულის და შვედურის) ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ფრაზეოლოგიის, ლექსიკისა და სემანტიკის სისტემურ ცოდნას. აღწერს და მიმოიხილავს სკანდინავიური ენების წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკანდინავიური ენების ისტორიული განვითარების მიზეზებს, ამ ენების მიმართებას ერთმანეთთან და სხვა გერმანიკულ ენებთან. განსაზღვრავს



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>სკანდინავიური და სხვა გერმანიკული ენების ადგილს მსოფლიო ენათა სისტემაში.</p> <p>ბ) უნარები</p> <ol style="list-style-type: none">იყენებს სასპეციალიზაციო ენებს (ნორვეგიული და შვედური) უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2+ დონის (ძირითადი სკანდინავიური ენისთვის) და B1 დონის (მეორე სკანდინავიური ენისთვის) შესაბამისად როგორც წერილით, ისე ზეპირი კომუნიკაციისა და თარგმანის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის, შეუძლია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობა, კომუნიკაციის წარმართვა და მასში მონაწილეობა.თარგმნის ქართულად სასპეციალიზაციო ენებიდან (ნორვეგიული და შვედური) მხატვრულ და ზოგადი ხასიათის ტექსტებს.ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს სკანდინავიური ენების ან ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.სკანდინავიური ენების ან ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ, ნორვეგიულ, შვედურ და ერთ-ერთ სხვა ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს.კრიტიკულად აანალიზებს სკანდინავიური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას.სკანდინავიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა-გადაცემის პროცესში ზეპირი და წერილობითი ურთიერთობისას სათანადოდ იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.მონაწილეობს სკანდინავიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ განხილვა-დისკუსიებში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად, შესაბამისი დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით.
--	--



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p style="text-align: center;">გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <p>11. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, ავლენს სკანდინავიური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობას;</p> <p>12. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; ამჟღავნებს პიროვნების თავისუფლების პატივისცემას, ტოლერანტობას და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, სამინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვერბალური მეთოდი, • წიგნზე მუშაობის მეთოდი, • ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, • ჯგუფური მუშაობა, • ევრისტიკული მეთოდი, • როლური და სიტუაციური თამაშები, • დისკუსია/დებატები, • ახსნა-განმარტებითი მეთოდი, • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, • წერიტი დავალებები და სხვ. <p>პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.</p>
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>პროგრამა განხორციელდება ლექცია-სემინარების, კონსულტაციების, წერიტი ნამუშევრების - ესე/რეფერატის წარდგენა/პრეზენტაციით, შუალედური წერიტი გამოცდა-კოლოკვიუმებით;</p> <p>შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასებახორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემული იქნება კონკრეტულ სილაბუსებში</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არანაკლებ ოთხ კომპონენტს.</p> <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი, ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა.</p> <p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.</p> <p>კვლევითი კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და საბაკალავრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ.</p> <p>სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავისი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნოს თავის პროფესიულ განვითარებაზე.</p>
--	--



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>მხატვრულ-კრიტიკული და მხატვრულ-მთარგმნელობითი საქმიანობა; სათარჯიმნო საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში და არასამთავრობო სექტორში; საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა; პედაგოგიური საქმიანობა (შესაბამისი ერთწლიანი პედაგოგიური პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); საქმიანობა გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ფირმებში; სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის.</p>
<p>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის</p>	<p>უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.</p> <p>უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი</p>
<p>პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>პროგრამის კონსულტანტები:</p> <p>მალმეს (შვედეთი) უნივერსიტეტის კულტურისა და საზოგადოების ფაკ-ის სრული პროფესორი კარინა ვამლინგი და ამავე უნივერსიტეტის განათლებისა და საზოგადოების ფაკულტეტის ლექტორი ტერეზა ტომაშევიჩი; ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი-ემერიტუსი ფრუდე ჰერმუნდსგორდი. ბერგენის (ნორვეგია) უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკ-ის პროფესორ-ემერიტუსი იუსტაინ ბიორტენსი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში პედაგოგიურ საქმიანობას განხორციელებენ:</p> <p>კახაბერ ლორია - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, ამავე ფაკ-ის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან სიხარულიძე - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ელენე გოგიაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო დარასელია - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარიამ ბაკურიძე - ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული პედაგოგი თამარ კვიციანიძე - მაგისტრი, ნორვეგიული ენის მოწვეული პედაგოგი ია სიჭინავა - თსუ-ს ფილოლოგიის პროგრამის (ქვედარგი- სკანდინავიური ფილოლოგია) დოქტორანტი, მოწვეული პედაგოგი გიორგი ბერიძე - თსუ-ს ფილოლოგიის პროგრამის (ქვედარგი- სკანდინავიური ფილოლოგია) დოქტორანტი, მოწვეული პედაგოგი</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>პელი ჰარიუ - მაგისტრი, შვედური ენის მოწვეული პედაგოგი, დომიტრი გოგოლაშვილი - მაგისტრი, შვედური ენის მოწვეული პედაგოგი, ჰანა სანდბორგ - თსუ-ს ფილოლოგიის პროგრამის დოქტორანტი, მოწვეული პედაგოგი, ნატო კვარაცხელია - მაგისტრი, შვედური ენის მოწვეული პედაგოგი მიხაილა კრეიჩოვა - ვენის მუსიკის და ხელოვნების უნივერსიტეტის დოქტორანტი, ისლანდიური ენის მოწვეული პედაგოგი</p> <p>მატერიალური რესურსები</p> <p>ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტსა და თსუ-ს შორის სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი თანამშრომლობის პროექტი სკანდინავისტიკისა და ენათმეცნიერების სფეროში (ერასმუს+ პროგრამა). თსუ-ს მხრიდან აკადემიური საკონტაქტო პირი სკანდინავისტიკის დარგში: პროფ. კახაბერ ლორია</p> <p>ოსლოს უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის თანამშრომლობის (ე.წ. ჩარჩო) ხელშეკრულება /ძალაშია 2006 წლიდან/</p> <p>მალმეს (შვედეთი) და თსუ-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი (ე.წ. ჩარჩო ხელშეკრულება) /განახლდა 2022 წელს/</p> <p>საბაკალავრო პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია თსუ-ს ბიბლიოთეკაში ან/და https://e-learning.tsu.ge/ -ის ელექტრონულ პლატფორმაზე. იმავდროულად, თსუ -ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრს აქვს კარგად გამართული კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, თანამედროვე ვიდეო და აუდიოტექნიკა, მდიდარი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. სკანდინავიური მხარის დახმარებით ხელმისაწვდომია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, ფაქტობრივად, ნებისმიერი ხასიათისა და დონის სასწავლო, კვლევითი თუ სხვა სახის მასალა.</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.</p> <p>პროგრამას მხარდაჭერას უწევს ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტსა და თსუ-ს შორის სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი თანამშრომლობის პროექტი სკანდინავისტიკისა და ენათმეცნიერების სფეროში (ერასმუს+ პროგრამა).</p> <p>პროგრამა ფინანსურად მდგრადი და სტაბილურია. უზრუნველყოფილია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა, მუდმივი განახლება და</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>სრულყოფა, საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>დამატებითი ინფორმაცია:</p> <p>ა) ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: ბაკალავრიატის მეორე სემესტრი;</p> <p>ბ) სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამაზე- „სკანდინავიური ფილოლოგია“ ნორვეგიული და შვედური ენები არ ჩაეთვლება საფაკულტეტო ევროპულ ენებად (სავალდებულო 10 ECTS). იმავდროულად მათ ეძლევათ რეკომენდაცია საფაკულტეტო ევროპულ ენებად აირჩიონ საფაკულტეტო გერმანული ან საფაკულტეტო ინგლისური.</p> <p>გ) შესაძლებელია პროგრამის კომბინირება თსუ-ს თითქმის ყველა დამატებით საბაკალავრო პროგრამასთან. განსაკუთრებულადაა რეკომენდირებული კომბინირება ფილოლოგიური, განათლების მეცნიერებების და სოციალურ-პოლიტიკური პროფილის დამატებით პროგრამებთან; ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტიდან კი- ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებით პროგრამასთან. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება სკანდინავიური ფილოლოგიის ძირითად პროგრამასთან უფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და აძლევს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.</p> <p>დ) პროგრამის საუკეთესო სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სკანდინავიის უნივერსიტეტებში/ უმაღლეს სასწავლებლებში გაიარონ როგორც 4-6 კვირიანი საზაფხულო სასწავლო კურსები, ისე 1-2 სემესტრიანი სტაჟირება (არის მათ მიერ დაგროვილი კრედიტების საქართველოში აღიარების შესაძლებლობაც), ხოლო თსუ-ში საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კი, ოსლოს უნივერსიტეტის ერთწლიანი პროგრამა ნორვეგიული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების მოსამზადებლად უცხოეთის ქვეყნებისათვის და/ან სრული სამაგისტრო პროგრამები ოსლოს ან სკანდინავიის/ევროპის სხვა უნივერსიტეტების/უმაღლესი სასწავლებლების სკანდინავისტიკის ან მონათესავე პროფილის (ევროპისტიკა და სხვა) ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.</p>



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი